საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №31
2016 წლის 26 აპრილი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 (სსმ, №96, 04/08/2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.014932) ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და წესდების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში – ,,ლიცეუმი") არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში – ,,სამინისტრო") მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, სამხედრო მომზადებას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **დავით ებრალიძე**